



GEORGIAN INSTITUTE
OF PUBLIC AFFAIRS

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი/Master in Business Administration

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 120 კრედიტი

სწავლების ენა: ქართული

უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური: მაგისტრატურა

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი: აკადემიური

პროგრამის მიზანი:

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის მიზანია მოამზადოს მაღალკვალიფიციური მეწარმე-მენეჯერები, რომლებიც წარმატებით შეძლებენ პრობლემური ორგანიზაციების გამართვასა და კერძო, საჯარო თუ საზოგადოებრივ სექტორში არსებული პრობლემების გადაწყვეტას.

აღნიშნულის მისაღწევად, ბიზნეს ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის მიზანია სტუდენტს **შესძინოს ღრმა და სისტემური ცოდნა:**

- ბიზნესის ძირითად მიმართულებებში: მენეჯმენტი, ფინანსები, მარკეტინგი, ოპერაციები (ბიზნესის ცოდნა);

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის მიზანია სტუდენტს **გამოუმუშავოს:**

- კროს-დისციპლინარული მიდგომით პრობლემების გადაწყვეტისა და ცვლილებების გატარების უნარი (პრობლემების გადაწყვეტა და ცვლილებები);
- კრიტიკული აზროვნების, ანალიზის, პრობლემის გადაწყვეტისას შედეგებზე ორიენტირებული ხედვის ჩამოყალიბების, სტრატეგიისა და გეგმის განსაზღვრის, განხორციელებისა და არგუმენტირებული დასკვნის უნარი (სტრატეგიული მიდგომა);
- მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი და გამოცდილება (პრაქტიკული გამოცდილება);
- კვლევისა და კვლევითი პროექტების დაგეგმვისა და განხორციელების უნარი (კვლევა);

- კომუნიკაციის უნარი (კომუნიკაცია);
- სწავლის დამოუკიდებლად წარმართვისა და პროფესიული ზრდისკენ მუდმივი სწრაფვის უნარი (სწავლა);
- საკუთარი და სხვათა ღირებულებათა სისტემის შეფასებისა და ადეკვატურად აღქმის, ასევე, ახალი ღირებულებების დასამკვიდრებლად სწრაფვის უნარი (ღირებულებები);

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

ბიზნეს ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა განკუთვნილია იმ პირთათვის, რომლებსაც უკვე მიღებული აქვთ უმაღლესი განათლება ნებისმიერ სფეროში და სურთ გაიღრმავონ ცოდნა ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით. შესაბამისად, სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს: 1) ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი ნებისმიერ სფეროში; 2) საერთო სამაგისტრო გამოცდების ზღვრის გადალახვა; 3) შიდა საუნივერსიტეტო გასაუბრების წარმატებით გავლა, რომლის მიზანია შემოწმდეს სტუდენტის სპეციალობის დაუფლებისთვის მზადყოფნა, მოტივაცია და საჭირო ცოდნა და უნარ-ჩვევები; 4) ინგლისურის ტესტირების წარმატებით გავლა, სადაც მოწმდება ინგლისური ენის ცოდნა (დონე B2-Intermediate), ან შესაბამისი ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატი.

სწავლის შედეგები:

ცოდნა და გაცნობიერება:

მაგისტრი ფლობს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროს ღრმა და სისტემურ ცოდნას; მას შეუძლია სფეროს სხვადასხვა საკითხების, თეორიებისა და პრინციპების კრიტიკული გააზრება და ცალკეული პრობლემების გადაჭრის გზების შემუშავება, ასევე, ახალი, ორიგინალური იდეების გენერირება.

- მაგისტრს აქვს ბიზნესის შემადგენელი ელემენტების - მენეჯმენტის, ოპერაციების, ფინანსების, მარკეტინგის პრინციპებისა და თეორიების ღრმა და სისტემური ცოდნა; ფლობს მართვის მოდელების ცოდნას, შეუძლია მათი კრიტიკული გააზრება და გაანალიზება, სხვადასხვა გარემოში შესაბამისი მართვის მოდელის გამოყენება. მაგისტრი ფლობს ცოდნას ორგანიზაციის ბიზნეს პროცესების თავისებურებების, ოპერაციათა და პროექტის მართვის, ასევე, ადამიანური რესურსების მართვის სპეციფიკის შესახებ.
- მაგისტრი ფლობს ტექნიკურ ცოდნას ისეთ სფეროებში, როგორცაა სტატისტიკა, ფინანსური და მენეჯერული აღრიცხვა და რეპორტინგი, ანალიზებს მათი გამოყენების საჭიროებას და შეუძლია მათი პრაქტიკაში გამოყენება; მაგისტრი სიღრმისეულად ერკვევა ინვესტიციების არსში, ფინანსური ანალიზის მეთოდებში, საგადასახადო პოლიტიკაში და აფასებს საფინანსო პოლიტიკის გავლენას ბიზნესზე;
- მაგისტრს სიღრმისეულად აქვს შესწავლილი მარკეტინგის საფუძვლები, თეორიები, მეთოდები, მათი გამოყენების საშუალებები და შეუძლია მათი კრიტიკული გააზრება. მაგისტრი ფლობს მარკეტინგული კვლევის მეთოდოლოგიას, ბრენდინგის პრინციპებსა და გაყიდვების თავისებურებებს; ესმის ორგანიზაციული და მომხმარებლის ქცევის თავისებურებები; მაგისტრი ფლობს სიღრმისეულ ცოდნას გლობალური ბაზრებისა და საერთაშორისო ბიზნესის სპეციფიკის შესახებ;
- მაგისტრი სიღრმისეულად ერკვევა მართვის ინფორმაციულ სისტემებსა და სტრატეგიული ლიდერობის ასპექტებში;

- მაგისტრი ფლობს ცოდნას მიკრო და მაკროეკონომიკურ პროცესებში და გააზრებული აქვს ეკონომიკისა და ბიზნესის ურთიერთკავშირი; მას ღრმად აქვს შესწავლილი ფინანსური ინსტიტუტებისა და ბაზრების მუშაობის პრინციპები;
- მაგისტრს აქვს ცოდნა ბიზნეს სამართლის სპეციფიკაში;
- მაგისტრს შეუძლია მართვის საკითხებში ახალი იდეებისა და ბიზნესის მართვასთან დაკავშირებული ხედვის ჩამოყალიბება და ცალკეული პრობლემების გადაჭრის გზების შემუშავება.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:

მიღებული ცოდნისა და უნარების სასწავლო პროცესის განმავლობაში პრაქტიკული რეალიზაციის ხარჯზე, მაგისტრს გააჩნია გამოცდილება და შეუძლია მისი პრაქტიკაში გამოყენება და დანერგვა. სასწავლო პროცესით გათვალისწინებული პრაქტიკული სამუშაოები, მათ შორის სიმულაციები და რეალურ ბიზნეს პროექტებზე მუშაობა, მაგისტრს ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარს უძლიერებს.

- მაგისტრს შესწევს უნარი განახორციელოს ბიზნეს პროექტი და უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით დამოუკიდებლად დაგეგმოს და ჩაატაროს კვლევა. მაგისტრს შეუძლია შეიმუშავოს ახალი, ორიგინალური მეთოდები კომპლექსური პრობლემების გადასაჭრელად. მაგისტრს შესწევს უნარი, ადეკვატურად იმოქმედოს მისთვის ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში;
- სასწავლო პროცესში გათვალისწინებული პრაქტიკული სამუშაოების, მათ შორის რამდენიმე ბიზნეს პროექტის დაგეგმვისა და განხორციელების, სიმულაციებისა და ბიზნეს თამაშების საშუალებით, მაგისტრი იყენებს მიღებულ თეორიულ ცოდნას პრაქტიკულ ვითარებაში;
- მაგისტრი ფლობს გამოყენებით უნარებს, როგორცაა მმართველობითი დილემის ამოცნობა და მისი გადაჭრის გზების შემუშავება, მარკეტინგული გეგმის შემუშავება და დანერგვა, ბიზნესის ფინანსური გეგმის შემუშავება, სტატისტიკური მონაცემების შეგროვება და გამოყენება ანალიზისა და დაგეგმვისათვის;
- მაგისტრს შეუძლია როგორც პირველადი მონაცემების შეკრება, ასევე, მეორად მონაცემებთან მუშაობა და მათი ანალიზი, პრეზენტაციის მომზადება, ცოდნის ადეკვატური გამოყენება შესაბამის კონტექსტში;
- სხვადასხვა კვლევითი პროექტების და სამაგისტრო ნაშრომის - პრობლემური კომპანიის გამართვისა და მისი ღირებულების ზრდის სტრატეგიისა და გეგმის მომზადების დროს მაგისტრი პრაქტიკულად ითვისებს პროექტის/კვლევის დამოუკიდებლად წარმართვისა და ბიზნეს პრობლემების გადაჭრის პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს;
- მაგისტრს აქვს ბიზნესის სფეროში წამოჭრილი პრობლემების დანახვისა და შეფასების, ასევე მათი ადეკვატური გადაჭრის გზების შემუშავების უნარი. სიმულაციებისა და ბიზნეს თამაშების საშუალებით მაგისტრი ეჩვევა მისთვის ახალ, გაუთვალისწინებელ გარემოში ადაპტაციისა და პრობლემის გადაწყვეტის ადეკვატური გზების შემუშავების უნარებს. სწავლების პერიოდში მსგავს ამოცანებზე მუშაობა მაგისტრს უვითარებს უნარს, პრობლემის გადასაჭრელად მოიძიოს არამართო ბიზნესის სფეროსათვის დამახასიათებელი მეთოდები, შესწავლილი მართვის, მარკეტინგის, ეკონომიკისა თუ სხვა კურსებში. ამას გარდა, მაგისტრს შეუძლია პრობლემის გადასაჭრელად დასახოს ახლებური გზები;
- მაგისტრს შეუძლია ბიზნეს ეთიკის პრინციპების პრაქტიკაში გამოყენება;

დასკვნის უნარი:

მაგისტრი ფლობს პრობლემის ამოცნობისა და მისი ჩამოყალიბებისათვის საჭირო სიღრმისეულ ცოდნასა და უნარს, შეუძლია პრობლემის გადაწყვეტის გზების გასაზღვრა, მათი ეფექტურობის შეფასება, გადაწყვეტილების მიღება და მისი დასაბუთება. მაგისტრს შეუძლია სხვადასხვა წყაროდან (რთული და თუნდაც არასრული) ინფორმაციის მოძიება, დამუშავება, გაანალიზება და დასაბუთებული დასკვნების გაკეთება. მაგისტრი აღჭურვილია მის გარშემო მიმდინარე მოვლენებისა და მონაცემების ანალიზის უნარით. შეუძლია მათი სინთეზურად განსჯა.

- მაგისტრს გააჩნია ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში არსებული პრობლემების მრავალმხრივი ხედვისა და მათი კრიტიკული ანალიზის უნარი. სწავლისას მიღებული ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე მაგისტრი ფლობს ცოდნას თუ როგორ უნდა შეაფასოს განხორციელებული სამუშაო, მისი ადეკვატურობა დასახულ მიზნებთან, განაზოგადოს მიღებული შედეგები და დაშვებული შეცდომები მომავალი დაგეგმვის პროცესში გამოიყენოს. სწავლების ფორმატიდან გამომდინარე, მაგისტრი ითვისებს აბსტრაქტული და სტრატეგიული აზროვნების უნარს, რომელიც საშუალებას აძლევს მიღებული ინფორმაციის სწორად გააზრების, არგუმენტაციის ანალიზის, მსჯელობის აგებისა და დამუშავებული ინფორმაციის სინთეზირების უნარს;
- მაგისტრს შეუძლია ბიზნეს ადმინისტრირების სფეროში კვლევითი ნაშრომების სიღრმისეულად გაანალიზება, დასაბუთებული პოზიციის გამოყოფა და კომპეტენტური დასკვნის გაკეთება.

კომუნიკაციის უნარი:

მაგისტრს შეუძლია აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებას წერილობითი და ზეპირი ფორმით ქართულ და ინგლისურ ენებზე, გადასცეს საკუთარი დასკვნები და არგუმენტები. შეუძლია ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო საშუალებების ათვისება და გამოყენება, მიღებული ინფორმაციის დამოუკიდებლად დამუშავება. პროგრამის სასწავლო ფორმატი მაგისტრს უყალიბებს გუნდში ნაყოფიერი მუშაობის უნარ-ჩვევას.

- მაგისტრს მიღებული ცოდნის საფუძველზე შეუძლია აკადემიური და ტექნიკური ნაშრომების შექმნა, კვლევითი და ბიზნეს პროექტების ზეპირი და წერილობითი ფორმით წარმოდგენა, აკადემიური პატიოსნების სტანდარტების დაცვით. მაგისტრს შეუძლია როგორც წერილობითი, ასევე ზეპირი სახით მიიღოს ბიზნეს ადმინისტრირების სფეროსათვის დამახასიათებელი ინფორმაცია, შემდეგ კი მასზე დაყრდნობით მოამზადოს სხვადასხვა სახის ნაშრომი - ბიზნეს გეგმა, მარკეტინგული გეგმა, ფინანსური ანგარიშგება, სტრატეგიული გეგმა;
- მაგისტრს გააჩნია განსხვავებული აზრის გაგებისა და ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში წამოჭრილი საკითხების ანალიზისას საკუთარი პოზიციის დასაბუთების უნარი. მას შეუძლია მისთვის უცხო გარემოში სწორი კომუნიკაცია, დროული ადაპტაცია და ადეკვატური რეაგირების მოხდენა.
- მაგისტრს აქვს ლიდერის თვისებები, ასევე, გუნდში ნაყოფიერი მუშაობის უნარი. სწავლისას მიღებული გამოცდილება მაგისტრს აძლევს შესაძლებლობას დასმული საკითხი არა მარტო ბიზნესის წარმომადგენელთა შორის, არამედ ინტერდისციპლინურ გუნდშიც განიხილოს;
- მაგისტრი ფლობს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ცოდნას და იყენებს მათ როგორც პრობლემის განსაზღვრისას, ასევე, მისი გადაჭრისას.

სწავლის უნარი:

მაგისტრს შეუძლია სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა, ავლენს სწავლის პროცესის თავისებურების გაცნობიერებისა და სტრატეგიული დაგეგმვის უნარს.

- მაგისტრს აქვს უნარი გაიღრმავოს ცოდნა დამოუკიდებლობად, რაც გულისხმობს, როგორც პრაქტიკული გამოცდილების გაღრმავებას, ასევე აკადემიური საქმიანობის წარმოებას;
- აქვს ბიზნესის სფეროში საკანონმდებლო ცვლილებების, სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური სიახლეების და უახლესი მეცნიერული მიღწევების თვალის მიდევნებისა და ცოდნის მუდმივად განახლების უნარი;
- შეუძლია დამოუკიდებლად გაიფართოვოს ცოდნა ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში მიმდინარე სიახლეებზე დაყრდნობით;
- ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრს შეუძლია სწავლა განაგრძოს სადოქტორო პროგრამაზე და დაკავდეს აკადემიური საქმიანობით.

ღირებულებები:

მაგისტრს მკაფიოდ აქვს ჩამოყალიბებული საკუთარი ღირებულებათა სისტემა. ასევე, აქვს უნარი შეაფასოს და ადეკვატურად აღიქვას სხვათა ღირებულებათა სისტემა, გაიზიაროს და პროფესიული საქმიანობის ეთიკის ფარგლებში დაიცვას ორივე მხარის უფლებები.

- მაგისტრი იცნობს და აფასებს ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს;
- მაგისტრს გააჩნია განსხვავებების, კულტურული მრავალფეროვნების დაფასებისა და პატივისცემის უნარი, აქვს სოციალური პასუხისმგებლობითა და სამოქალაქო თვითშეგნებით მოქმედების უნარი;
- მაგისტრს ესმის ისეთი ღირებულებების მნიშვნელობა, როგორებიცაა ადამიანის კეთილდღეობა, სოციალური პასუხისმგებლობა, ეკოლოგია და ისწრაფვის მათ დასამკვიდრებლად;
- მაგისტრს აქვს ეთიკური გადაწყვეტილებების მიღების უნარი და აღჭურვილია სოციალური პასუხისმგებლობის გრძნობით; მაგისტრს აქვს პროფესიულ სიტუაციებში ეთიკური გადაწყვეტილების მიღების, ეთიკური დილემის დროს ობიექტური მსჯელობისა და ანალიზის უნარი;
- მაგისტრი სამეცნიერო თუ პრაქტიკულ საქმიანობებში ითვალისწინებს საზოგადოებრივ ინტერესებსა და ღირებულებებს. საქმიანობისას აცნობიერებს პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და ფსიქოლოგიური ფაქტორების თავისებურებებს და ბიზნეს გადაწყვეტილების მიღებისას ეყრდნობა დემოკრატიულ ფასეულობებს;
- სრულად აცნობიერებს საკუთარ თავზე აღებულ პასუხისმგებლობას, მოქმედებს კეთილსინდისიერად და ორიენტირებულია წარმოდგენილ პირთა ინტერესების დაცვაზე;
- საჭიროების შემთხვევაში წვლილი შეაქვს ახალი ღირებულებების ფორმირებასა და დანერგვაში.

შედეგებისა და მიზნების რუკა

ზემოთ დასახელებული მიზნებიდან გამომდინარე, პროგრამა ისახავს ქვემოთ ჩამოთვლილ 8 შედეგობრივ მაჩვენებელზე გასვლას:

სწავლის შედეგი 1. მეწარმე-მენეჯერი - მაგისტრი ფლობს სიღრმისეულ ცოდნას ორგანიზაციული მეწარმეობის, მართვის ძირითადი პრინციპებისა და მოდელების შესახებ, შეუძლია მათი კრიტიკული გააზრება და გაანალიზება, სხვადასხვა გარემოში შესაბამისი მართვის მოდელის გამოყენება; მაგისტრი ფლობს ცოდნას ორგანიზაციის ბიზნეს პროცესების თავისებურებების, ოპერაციათა მართვის, ასევე, ადამიანური რესურსების მართვის სპეციფიკის შესახებ; იაზრებს, თანამიმდევრულად აღწერს და აგებს ბიზნესის პროცესებს, ანალიზებს მათ და აყალიბებს რელევანტურ დასკვნებს; მაგისტრი განსაზღვრავს ორგანიზაციის ხედვას, სტრატეგიებს, სტრუქტურას, ორგანიზაციულ კულტურასა და ლიდერობის მახასიათებლებს; მაგისტრი ახდენს ძირითადი რისკების კლასიფიცირებას მათი წარმოშობისა და ხასიათის მიხედვით; შეიმუშავებს სტრატეგიულ და ბიზნეს გეგმებსა და რისკების მართვის სისტემას; ახდენს საჭირო ინფორმაციის იდენტიფიცირებას, მოპოვებასა და ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით SWOT, PESTLE და SMART ანალიზების დაგეგმვას და ჩატარებას; იაზრებს ბიზნესში ცვლილებების შედეგად წარმოქმნილ პრობლემებს, მათი დაძლევის თანამედროვე საშუალებებს, შეუძლია მათი დაძლევის გეგმის შემუშავება და კომპლექსური გადაწყვეტილებების მიღება.

სწავლის შედეგი 2. ფინანსისტი - მაგისტრი ფლობს ფინანსების მართვის პრინციპებისა და თეორიების ღრმა და სისტემურ ცოდნას - ადგენს ბიუჯეტს, ახდენს დანახარჯების კლასიფიკაციასა და მათ ანალიზს; მაგისტრი ფლობს ცოდნას ფინანსური ოპერაციების გავლენების შესახებ კომპანიის საერთო მდგომარეობასა და შედეგებზე; მაგისტრი ანგარიშობს EBITDA-ს, IRR-ის, NPV-ის და მათი ანალიზის საფუძველზე აფასებს და აანალიზებს ბიზნეს პროექტებს; ფინანსური ანალიზის ჩატარების საფუძველზე აფასებს კომპანიებისა და ბიზნეს პროექტების რისკიანობას და მის საფუძველზე ახდენს ფინანსურ პროგნოზირებასა და საწარმოს რესურსების გათვალისწინებით საუკეთესო ალტერნატივის შერჩევას.

სწავლის შედეგი 3. მარკეტერი - მაგისტრი ფლობს ცოდნას მარკეტინგის ძირითადი პრინციპების, კონცეფციებისა და ბაზრებზე წვდომის სტრატეგიების, მათი შემუშავებისა და განხორციელების მეთოდების შესახებ; ფლობს ცოდნას ბრენდინგის პრინციპებისა და გაყიდვების თავისებურებების შესახებ; მარკეტინგული კვლევის ჩატარების შედეგად, აყალიბებს რელევანტურ დასკვნებს და ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციების ინსტრუმენტების გამოყენებით შეიმუშავებს დასაბუთებულ მარკეტინგულ სტრატეგიას; მაგისტრი აცნობიერებს ორგანიზაციაში მარკეტინგული გადაწყვეტილებების მნიშვნელობას;

სწავლის შედეგი 4. პროექტების მენეჯერი - მაგისტრი ფლობს პროექტის მართვის ინსტრუმენტებსა და მეთოდებს; გასაზღვრავს პროექტის მიზნებს და მათი წარმატებით შესრულების მიზნით გეგმავს ქმედებების თანმიმდევრობასა და დროითი, ადამიანური და მატერიალური რესურსების გამოყენებას; ფლობს პროექტის ორგანიზების, უსაფრთხოებისა და მართვისთვის საჭირო ცოდნას;

სწავლის შედეგი 5. კომუნიკატორი - მაგისტრი წერილობითი და ზეპირი სახით, მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, აკადემიური პატიოსნების სტანდარტების დაცვით, ამზადებს და წარადგენს ბიზნეს გეგმას, მარკეტინგულ გეგმას და სხვა მიმოხილვით ანგარიშებს; კომუნიკაციის პროცესში იყენებს დარგობრივ ტერმინოლოგიას და არგუმენტირებულად განმარტავს საკუთარ შეფასებებს, დასკვნებსა და გადაწყვეტილებებს; ახდენს გარემოში დროულ ადაპტაციას და ადეკვატურად რეაგირებს - ახდენს სწორ კომუნიკაციას; განსხვავებული აზრის შემთხვევაში, შეუძლია ჯანსაღი კამათი, რომლის დროსაც არგუმენტირებულად ასაბუთებს საკუთარ პოზიციას;

სწავლის შედეგი 6. პრაქტიკოსი - მაგისტრს ბიზნეს-ქეისების, სიმულაციებისა და პროექტების განხილვის საფუძველზე, შეუძლია შეძენილი ცოდნის პრაქტიკულ ვითარებაში გამოყენება; სწრაფად სახავს ახალი პროექტის განვითარების გეგმას, უწევს ორგანიზებას პროექტის სრულ განვითარებას და დანერგვას; ადგენს კომპანიის ფინანსურ სტრატეგიას, ფინანსურ მოდელს, ბიუჯეტს და ანალიზებს მას; არსებული ინფორმაციის საფუძველზე ახდენს ფინანსური საპროგნოზო უწყისების შედგენას; გეგმავს და ახორციელებს კომპანიის ოპერაციებს; განსაზღვრავს/აფასებს ოპერაციათა მართვის სტრატეგიას; ახდენს ბიზნეს ოპერაციების ოპტიმიზაციას; გეგმავს მარკეტინგის ორგანიზების ეტაპებს, შეიმუშავებს ბრენდინგისა და გაყიდვების სტრატეგიას, განსაზღვრავს გასაყიდი პროდუქტის რეალიზაციის არხებს, სეგმენტს, მოტივაციის სქემებს. შეიმუშავებს წარმატების შეფასების კრიტერიუმებს, ახდენს პროცესის მონიტორინგს, პროგნოზირებას, თანამონაწილეთა მოლოდინების მართვას; აფასებს ეფექტიანობას; ზომავს ტრანსფორმაციას; გეგმავს სწორ კომუნიკაციას; მაგისტრი აფასებს საკუთარ და სხვის მიერ შეთავაზებულ ბიზნეს იდეებს (ბიზნეს-გეგმებს), ახდენს გამოწვევებისა და შესაძლებლობების იდენტიფიკაციას, შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს და იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებებს საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში; ახდენს კომპანიის ღირებულების განსაზღვრას; მაგისტრი იყენებს ბიზნესის მართვის თანამედროვე პრაქტიკებს და ნერგავს მათ ორგანიზაციის პრაქტიკაში;

სწავლის შედეგი 7. მკვლევარი - მაგისტრი მოიძიებს და იკვლევს ახალ, საჭირო ინფორმაციას, ამუშავებს და ანალიზებს მას, აკეთებს არგუმენტირებულ დასკვნებს და განაზოგადებს მათ, შეიმუშავებს რეკომენდაციებს და ასაბუთებს საკუთარ გადაწყვეტილებებს; მაგისტრს აქვს მონაცემების ორგანიზების, კლასიფიცირების, სტრუქტურირების, სისტემატიზაციის და პირველადი დამუშავების მეთოდების სწორად გამოყენების უნარი; ანალიზებს ფინანსური ანგარიშგების მონაცემებს და ფინანსური ანალიზის მეთოდების გამოყენებით შეიმუშავებს კონკრეტულ რეკომენდაციებს; ბიზნესის სფეროში წარმოშობილი ამოცანებისათვის აგებს მათემატიკურ მოდელებს, მათი გამოყენებით იკვლევს და ხსნის ამოცანებს; სიღრმისეულად ერკვევა მარკეტინგული კვლევის მეთოდოლოგიაში (დიზაინში), შეიმუშავებს სავსელ სამუშაოების ჩატარების პროცესს, კვლევის ინსტრუმენტებს, გეგმავს და ატარებს მარკეტინგულ კვლევას და ახდენს ბაზრის ანალიზს; მიღებული შედეგების საფუძველზე შეიმუშავებს დასკვნებსა და რეკომენდაციებს;

სწავლის შედეგი 8. Homo Moralis¹- მაგისტრი აცნობიერებს ეთიკისა და ორგანიზაციული კულტურის მნიშვნელობას ორგანიზაციის მართვისათვის; აცნობიერებს ადამიანებისა და ბიზნესის ურთიერთკავშირს, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ითვალისწინებს ბიზნესის სოციალურ პასუხისმგებლობას და მოქმედებს ეთიკური ღირებულებების დაცვით; აკადემიური პატიოსნების სტანდარტების დაცვით ამზადებს ანგარიშს ბიზნესის სფეროსთვის დამახასიათებელი ინფორმაციის, პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების, ასევე შეიმუშავებული დასკვნების შესახებ; აცნობიერებს ისეთი ღირებულებების მნიშვნელობას, როგორცაა საზოგადოებრივი კეთილდღეობა, კულტურული მრავალფეროვნება და მოქმედებს მათი გათვალისწინებით;

¹ ეთიკური/ზნეობრივი პიროვნება

რი								
6. პრაქტიკოსი	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓
7. მკვლევარი	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓
8. Homo Moralis	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓

*ჩამოთვლილი სწავლის შედეგები გადის ყველა დასახულ მიზანზე სრულად ან ნაწილობრივ (✓ - სრული შესაბამისობა; ✓ - ნაწილობრივი შესაბამისობა).

სწავლება-სწავლის მეთოდები:

- ლექცია
- სამუშაო ჯგუფში მუშაობა
- პრაქტიკული მუშაობა
- სემინარი
- ელექტრონული რესურსით სწავლება
- ელექტრონული სწავლება
- სხვა

პროფესორი შესაძლოა იყენებდეს ზემოთჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე მეთოდს ან ნებისმიერ სხვა მეთოდს კონკრეტული სასწავლო კურსის ამოცანიდან გამომდინარე. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

ბიზნეს ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის დაუფლება სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შემენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება.

ბიზნეს ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება „უმადლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.

ბიზნეს ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ (ერთჯერად ან მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა).

შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერიითი გამოცდა, ზეპირი/წერიითი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.). შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ტესტი, ესე/ესეი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, სიმულაციები და სხვ). შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

ბიზნეს ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

(E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

ბიზნეს ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

ბიზნეს ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი (სამაგისტრო ნაშრომის შესრულება და დაცვა) უნდა შეფასდეს იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას. ბიზნეს ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი ფასდება ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით).

ბიზნეს ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;

(B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

(C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

(E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამაგისტრო ნაშრომი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში;

(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, მაგისტრანტი კარგავს იგივე სამაგისტრო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემის შემადგენელი ნაწილია საშუალო მაჩვენებლის (GPA) გამოანგარიშება. სტუდენტთა შეფასების საშუალო მაჩვენებელი (GPA) გამოიანგარიშება სტუდენტის მიერ სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ ყოველ საგანში მიღებული შეფასების ნამრავლით ამავე საგნის კრედიტზე. საგნებისა და კრედიტების ნამრავლი ჯამდება და იყოფა გავლილი საგნების კრედიტების ჯამურ რაოდენობაზე. საშუალო მაჩვენებლის დაანგარიშებისათვის ნიშნის ხვედრითი წილია:

- A = 4
- B = 3, 2
- C = 2, 4
- D = 1, 6
- E = 0, 8

დასაქმების სფერო:

ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრატურის პროგრამის კურსდამთავრებულები შეძლებენ წარმატებით იმუშაონ როგორც კერძო, ასევე საჯარო თუ საზოგადოებრივ სექტორში.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა:

ბიზნეს ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული უფლებამოსილია, სწავლა განაგრძოს საქართველოს ან სხვა ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ბიზნეს ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამაზე, რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის მკვლევარის მომზადებაზე.

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსი:

ბიზნეს ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური რესურსით. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტებს უძღვება უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, აგრეთვე სათანადო გამოცდილებისა და კომპეტენციების მქონე მოწვეული სპეციალისტები.

ადამიანური რესურსის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ №2 დანართში.

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსი:

ბიზნეს ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სტუდენტებისთვის შეზღუდვების გარეშე ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, კერძოდ:

- სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები და საკონფერენციო დარბაზები;
- კომპიუტერული ტექნიკითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა;
- კომპიუტერული კლასები, ინტერნეტში და შიდა ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა და სწავლის/სწავლების პროცესის ადეკვატური კომპიუტერული პროგრამები;
- სხვადასხვა ტექნიკური მოწყობილობები და ა.შ.

ბიზნეს ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი სახელმძღვანელო და მეთოდური ლიტერატურით. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სტუდენტებს უზრუნველყოფს სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული შესაბამისი ელექტრონული სახელმძღვანელოებით, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურით, აგრეთვე ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მონაცემთა ბაზით.

უნივერსიტეტის საკუთრებაში და მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს ბიზნეს ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების რეალიზაციასა და დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევას:

შენობა-ნაგებობანი - ბიზნეს ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებულ და იჯარით აღებულ შენობა-ნაგებობებში, სადაც დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური და უსაფრთხოების ნორმები (შენობებში დამონტაჟებულია სიგნალიზაცია, არის ცეცხლმაქრები, პერიმეტრზე მიმდინარეობს ვიდეო კონტროლი, წესრიგს იცავს უნივერსიტეტის დაცვის თანამშრომელი). შენობა სრულად პასუხობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის დადგენილ ტექნიკურ მოთხოვნებს, არის სათანადო ტექნიკითა და ინვენტარით (პროექტორი, სკამები, მერხები, დაფები და სხვ.) აღჭურვილი სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობებისთვის განკუთვნილი აუდიტორიები.

ბიბლიოთეკა - უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცულია სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული ფონდი, რომელიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, მოწვეული და აკადემიური პერსონალისთვის. ბიბლიოთეკას აქვს სათანადო ინვენტარით (სკამები, მაგიდები, კომპიუტერები) აღჭურვილი სამკითხველო დარბაზი. ბიბლიოთეკაში არის მულტიფუნქციური ქსეროქსის აპარატი, რომლით სარგებლობაც სტუდენტს ბიბლიოთეკის თანამშრომლის დახმარებით შეუძლია. სამკითხველო დარბაზში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ინტერნეტით და საერთაშორისო ელექტრონული რესურსით (EBSCO; JSTOR; Cambridge Journals Online; BioOne Complete; e-Duke Journals Scholarly Collection; Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books; IMechE Journals; New England Journal of Medicine; Openedition Jourlnas; Royal Society Journals Collection; SAGE Premier). უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი.

